

N-β-(პარა-ტოლილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-გლუკოპირანოზილამინის  
კონდენსაციის რეაქცია ტრიმეთილქლოროსილანთან

მარიამ ჩიბუხაშვილი, რამაზ გახოკიძე, მია თათარიშვილი

[Mariam.chibukhashvili360@ens.edu.tsu.ge](mailto:Mariam.chibukhashvili360@ens.edu.tsu.ge)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქიმიის დეპარტამენტი, ბიოორგანული  
ქიმიის კათედრა

ილია ჭავჭავაძის გამზირი, 0179, თბილისი, საქართველო.

ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მიღების მიზნით, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ახალი მეთოდი სილიციუმის შემცველი N-გლიკოზიდების სინთეზისთვის. სამკურნალო პრეპარატების მოდიფიკაციაში სილიციუმის ატომებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს, განსაკუთრებით მათ ქიმიურ მახასიათებლებსა და ბიოლოგიურ თვისებებში.

ჩვენ შევისწავლეთ N-გლუკოპირანოზილამინის ქლოროსილირების რეაქციები.

N-β-(p-ტოლილ)-D-გლუკოპირანოზილამინის აცეტილირებით (1) ძმარმჭავას ანჰიდრიდის თანაობისას პირიდინის არეში მიღებულ იქნა N-β-(p-ტოლილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-D-გლუკოპირანოზილამინი (2). ნაერთის (2) ქლოროსილირებით,

ტრიმეთილქლოროსილანის ურთიერთქმედებით თუთიის თანაობისას ოთახის

ტემპერატურაზე, შესაბამისად მიღებულ იქნა N-β-(p-ტოლილ)-N-ტრიმეთილსილილ-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-D-გლუკოპირანოზი

ლამინი (3). რეაქციები ტარდება შემდეგი სქემის მიხედვით:

მიღებული ნაერთების სტრუქტურები დადგინდა ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით (IR და <sup>13</sup>C-NMR, <sup>1</sup>H-NMR სპექტროსკოპია).